

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომის

ოქმი №9

ქ.ვანი. თავისუფლების ქ.№65

14 მაისი 2019 წელი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, რამაზ არველაძე, ტარიელ ბარამიძე, გიგა გოგბერიძე, კობა ტოხვაძე, გელა ჩიკვაძე, ეთერ ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე.(დანართი №1).

სხდომას საპატიო მიზეზის გამო არ ესწრებოდნენ: გელა ვარდოსანიძე, კობა ძაგნიძე, გელა ღვიტიძე.

სხდომას ესწრებოდა: საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში ლუბა გოგოძე.

სხდომა 14⁰⁰-საათზე გახსნა საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა და წარმოადგინა 2019 წლის 14 მაისის სხდომის დღის წესრიგი.

1. „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ალექსანდრე ლილუაშვილის ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულების ნაწილობრივ გამოყენების შესახებ.

მომხს.: /ალექსანდრე ლილუაშვილი/

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა 2019 წლის 14 მაისის ბიუროს სხდომის დღის წესრიგს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე - 9

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

დღის წესრიგის საკითხთან დაკავშირებით სიტყვით გამოვიდა ალექსანდრე ლილუაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე ოჯახური მდგომარეობის გამო, ბიუროს წევრებს თხოვს ანაზღაურებად შვებულებას 7 სამუშაო დღით.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა და თანხმობა მისცეს ალექსანდრე ლილუაშვილს შვებულების ნაწილობრივი გამოყენების თაობაზე.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე - 9

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

ამით ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარე